

შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი“

აკადემიური საბჭოს დებულება

დამტკიცებულია
აკადემიური საბჭოს მიერ
ოქმი № 3 „18“ მარტი 2019 წ.
განხორციელებული ცვლილებები
აკადემიური საბჭოს მიერ
ოქმი № 8 „20“ სექტემბერი 2019 წ.

თბილისი
2019



თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. აკადემიური საბჭო

- 1.1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო არის სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი მართვის კოლეგიური ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედიან რექტორი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რექტორის აპარატის უფროსი (საბჭოს მდივანი) და ფაკულტეტის საბჭოს მიერ არჩეული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ არჩეული წარმომადგენლები.
- 1.2. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე არის - უნივერსიტეტის რექტორი.
- 1.3. აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტის საბჭო წარადგენს სამ აკადემიურ პერსონალს.
- 1.4. სტუდენტები შეადგენენ აკადემიური საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს. სტუდენტთა რაოდენობის დასადგენად დამრგვალება ხორციელდება სტუდენტთა სასარგებლოდ.
- 1.5. აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეობს რექტორი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - სხდომის მონაწილე წევრთაგან არჩეული სხდომის თავჯდომარე.
- 1.6. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებანი განსაზღვრულია ამ დებულებით და უნივერსიტეტის დებულებით.

მუხლი 2. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

- ა) ამტკიცებს უნივერსიტეტის დებულებას, დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას, ასევე უნივერსიტეტის სტრუქტურას და მისიას;
- ბ) ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმას და სამწლიანი სამოქმედო გეგმას;
- გ) ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, უნივერსიტეტის შინაგანაწესს, წესებსა და მეთოდოლოგიებს;
- დ. ფაკულტეტის საბჭოების წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს და შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსებს, ასევე სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
- ე) ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების სფეროში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის თანამშრომლობის განვითარებას, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შედგენას;
- ვ) ფაკულტეტების საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო გამოცდებისათვის, ასევე, ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას;



- ზ) ადგენს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხის ცნობის წესს;
- თ) ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე განსაკუთრებული დამსახურებისათვის საპატიო დოქტორის წოდებას ანიჭებს მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს, რომელიც საქართველოს ან საზღვარგარეთის ქვეყნის მოქალაქეა;
- ი) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს;
- კ) განსაზღვრავს პროფესორის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას;
- ლ) იღებს გადაწყვეტილებებს სხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად;
- მ) იღებს გადაწყვეტილებას პერიოდული და სხვა სახის გამოცემების შესახებ;
- ნ) განიხილავს უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებულ უნივერსიტეტის ბიუჯეტს;
- ო) ახორციელებს უნივერსიტეტში მოქმედი ნორმატიული აქტებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 3 აკადემიური საბჭოს სხდომების მომზადებისა და ჩატარების წესი

- 3.1. აკადემიური საბჭო მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ კვარტალში ერთხელ მაინც.
- 3.2. საბჭოს სხდომები მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის მიერ საკუთარი ინიციატივით ან საბჭოს სრული შემადგენლობის 1/3-ის ინიციატივით.
- 3.3. მოთხოვნა კეთდება რექტორის სახელზე საბჭოს მოწვევამდე ერთი კვირით ადრე.
- 3.4. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა არანაკლებ 2/3.
- 3.5. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.
- 3.6. საბჭოს სხდომას დადგენილი წესით იწვევს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც საბჭოს მდივნის მეშვეობით უზრუნველყოფს საბჭოს წევრების ინფორმირებას სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ.
- 3.7. კენჭისყრა, საბჭოს წევრის მოთხოვნის შემთხვევაში, შეიძლება ჩატარდეს ფარულად, თუ ამას მხარს დაუჭერს საბჭოს უმრავლესობა.
- 3.8. საბჭოს წევრთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შეხედულებები შეიტანება სხდომის ოქმში, საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

მუხლი 4. აკადემიური საბჭოს და აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები



4.1. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება წყდება:

- ა) უნივერსიტეტის ლიკვიდაციით;
- ბ) რექტორის გადაწყვეტილებით.

4.2. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- გ) გარდაცვალება;
- დ) გარდაცვლილად გამოცხადება ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;
- ე) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა;
- ვ) საბჭოს სხდომაზე ზედიზედ სამჯერ არასაკაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;
- ზ) საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლები;
- თ) რექტორის გადაწყვეტილება.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებანი

5.1. დებულება ძალაშია ტკიცებისთანავე;

5.2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5.3. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.